

სსიპ - საქართველოს
ფიზიკური აღზრდისა და
სპორტის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის
კვლევითი საქმიანობის
ხარისხისა და პერსონალის
კვლევითი
პროდუქტიულობის
შეფასების წესი

Sportuni

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობისა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების წესს, კრიტერიუმებს, პროცედურასა და მასში მონაწილე პირებს.

2. კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასება

სპორტუნის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა წარმოადგენს უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მექანიზმს, რომელიც არის განვითარებაზე ორიენტირებული, უწყვეტი შეფასების პროცესი. კვლევითი საქმიანობის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შედეგების ანალიზსა და შეფასებას, ხოლო მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღებას შემდგომი გაუმჯობესებისათვის. კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების სისტემით შესაძლებელია შეფასდეს როგორც კვლევითი საქმიანობის ხარისხი, ასევე პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა. შეფასება ხდება ყოველწლიურად და დაფუძნებულია როდენობრივ და ხარისხობრივ ინდიკატორებზე.

აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასება ხორციელდება მათ მიერ შევსებული ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით. ფაკულტეტზე შეგროვებულ მონაცემებს ანალიზებს შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან კოორდინაციით და წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სამეცნიერო-კვლევით სამსახურს. შეფასების შედეგები ეცნობება აკადემიურ საბჭოს.

აკადემიური პერსონალის ყოველწლიური კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის, შექმნილია „აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმები“ (იხ. ქვემოთ). შეფასებისთვის გამოიყენება აღნიშნულ დოკუმენტში არსებული კრიტერიუმები და მათზე დარიცხული ქულები: მაგ. ყოველი ერთი სტატიის გამოყვეყნებაზე, სტატიის გლობალური მნიშვნელობიდან გამომდინარე - 30, 15 ან 5 ქულა და ა.შ. (იხ. დანართი 1. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროდუქტიულობის თვითშეფასების კითხვარი).

3. კვლევითი საქმიანობის ხარისხისა და პერსონალის კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების პროცედურა

3.1 სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - „სფასსსუ“) აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაოს ხარისხი ფასდება მათ მიერ შევსებული ყოველწლიური თვითშეფასების ფორმის მეშვეობით.

3.2 სფასსსუ-ს აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად ავსებს ანგარიშს შესრულებული სამუშაოს შესახებ, რომელიც მოიცავს მათ მიერ შესრულებულ როგორც სასწავლო, ასევე კვლევით დატვირთვას.

3.3 სფასსუ-ს აკადემიური პერსონალის ყოველწლიური თვითშეფასების ფორმა განისაზღვრება სფასსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესაბამისი დანართით.

3.4 ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის კოორდინირებით, ანალიზებს აკადემიური პერსონალის მიერ შესრულებულ სამუშაოს და წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სამეცნიერო-კვლევით სამსახურს.

3.5 ანალიზი ხორციელდება როგორც ინდივიდუალურ, ასევე ფაკულტეტის დონეზე.

3.6 ანალიზის შედეგად ხდება აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება, ასევე მათ მიერ შესრულებული კვლევითი სამუშაოს მოცულობის განსაზღვრა და რეკომენდაციების შემუშავება.

3.7 ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან ერთად, საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს რეკომენდაციებს, პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ და წარუდგენს ანგარიშთან ერთად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და სამეცნიერო-კვლევით სამსახურს.

4. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები

4.1 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება შემდეგი კომპონენტებით და ენიჭება შესაბამისი ქულა:

	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	ქულა
1.	გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები¹	
1.1	ინგლისურენოვანი სტატია თუ გამოქვეყნებულია Ebsco, Scopus, Elsevier ან Thomson Reuters-ის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში შემავალ რომელიმე თემატურ ჟურნალში – შენიშვნა: საქართველოში გამოცემული რამდენიმე საერთაშორისო ჟურნალიდან, ზემოაღნიშნულ ბაზებში შედის მხოლოდ ორი: (ა) მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე (ISSN - 0132-1447); (ბ) Georgian Medical News (ISSN - 1512-0112). (ქულა ენიჭება თითოეულ სტატიზე)	30 ქულა
1.2	ინგლისურენოვანი სტატია თუ გამოქვეყნებულია საქართველოს ან საზღვარგარეთის რომელიმე სხვა საერთაშორისო ჟურნალში (რომელიც შეიძლება შედიოდეს ან არ შედიოდეს Google Scholar-ის საძიებო სისტემაში) (ქულა ენიჭება თითოეულ სტატიას)	15 ქულა
1.3	რესპუბლიკური მასშტაბის ჟურნალებში გამოცემულ (ქართულენოვან ან ინგლისურენოვან) სამეცნიერო სტატიაზე	5 ქულა

¹ იმ შემთხვევაში, თუ სტატიას/წიგნს/ბროშურას (იხ. 1.1.-2.4) ჰყავს რამდენიმე ავტორი, ქულათა რაოდენობა ნაწილდება ავტორთა რაოდენობაზე ან ნაშრომში/სახელმძღვანელოში მითითებული წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

	(ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	
2.	გამოქვეყნებული წიგნები	
2.1	შესაბამის დარგში გამოცემული ყოველი წიგნი წიგნად ითვლება გამომცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს 150 გვერდზე ნაკლები.	60 ქულა
2.2	პოლიგრაფიულად დასტამბული მონოგრაფია (მინ. 100 გვ.)	40 ქულა
2.3	პოლიგრაფიულად დასტამბულ დამხმარე პროფილური წიგნი (მინ. 60 გვ.)	20 ქულა
2.4	გამოცემული პროფილური ბროშურა (25-60 გვ.)	5 ქულა
3.	სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა	
3.1	საქართველოში, ადგილობრივ კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	4 ქულა
3.2	საქართველოში, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	7 ქულა
3.3	საზღვარგარეთ, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	10 ქულა
3.4	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (საორგანიზაციო კომიტეტის წევრის რანგში) (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	15 ქულა
3.5	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის რანგში) (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	30 ქულა
4.	კრებულის/წიგნის/მონოგრაფიის რედაქტორობა	
4.1	საერთაშორისო, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	15 ქულა
4.2	ადგილობრივი, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	5 ქულა
4.3	პროფილური წიგნის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	10 ქულა
4.4	პროფილური დამხმარე წიგნის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	5 ქულა
4.5	მონოგრაფიის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	8 ქულა
5.	თარგმანები	
5.1	პროფილური წიგნის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული)	15 ქულა
5.2	პროფილური დამხმარე წიგნის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული)	10 ქულა
5.3	პროფილური მონოგრაფიის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული)	10 ქულა
6.	პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის, სტიპენდიის მიღება	
6.1	დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	10 ქულა
6.2	დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)	20 ქულა
7.	საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა	

7.1	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (ქულა ენიჭება თითოეულს)	6 ქულა
7.2	საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა (ქულა ენიჭება თითოეულს)	3 ქულა
7.3	ბაკალავრის ან მაგისტრანტის საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა (ქულა ენიჭება თითოეულს)	3 ქულა
8.	სამეცნიერო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა	
8.1	სამეცნიერო საბჭოს წევრობა (თითოეულზე)	10 ქულა
8.2	სარედაქციო საბჭოს წევრობა (თითოეულზე)	5 ქულა
9.	საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება	
9.1	უცხოეთის უნივერსიტეტებში სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა(ფასდება თითოეული ვიზიტი)	10 ქულა
10.	საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებებში ტრენინგის ჩატარება	
	თითოეული ასეთი ჩატარებული ტრენინგი	5 ქულა
	სხვა	

4.2 იმ შემთხვევაში, თუ ჩამონათვალში არ არის განსაზღვრული კონკრეტული სამეცნიერო- კვლევითი საქმიანობა, აქტივობისთვის ქულის მინიჭება ხდება რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე.

5. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასება და სამიზნე ნიშნულები

5.1 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ხდება შემდეგი შკალის შესაბამისად:

	მაღალი	საშუალოზე მაღალი	საშუალო	საშუალოზე დაბალი	დაბალი	ძალიან დაბალი
პროფესორისთვის	41-45	36-40	31-35	26-30	21-25	0-20
ასოცირებული პროფესორისთვის	36-40	31-35	26-30	21-25	16-20	0-15
ასისტენტ-პროფესორისთვის	31-35	26-30	21-25	16-20	11-15	0-10
ასისტენტისთვის	26-30	21-25	16-20	11-15	6-10	0-5

5.2 აკადემიური პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულია ყოველწლიურად განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ფარგლებში:

- ❖ პროფესორისთვის >20;
- ❖ ასოცირებული პროფესორისთვის >15;
- ❖ ასისტენტ-პროფესორისთვის >10;
- ❖ ასისტენტისთვის >5.

6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხობრივი შეფასება

6.1 კვლევითი საქმიანობის ხარისხობრივი შეფასების ინდიკატორია საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში (მაგ. Ebsco, Scopus, Elsevier, Thomson Reuters და ა.შ.) შემავალ რომელიმე თემატურ ჟურნალში სტატიის გამოქვეყნება.

7. პერსონალის კვლევითი პოტენციალის შეფასების შედეგების გამოყენება

7.1 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სამეცნიერო-კვლევით სამსახურთან ერთად, ფაკულტეტებიდან მიღებული მონაცემებისა და პირველადი შეფასების, ასევე შესაბამისი სამსახურებიდან მიღებული ანგარიშების საფუძველზე ამზადებს უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს:

- ❖ რექტორს;
- ❖ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს;
- ❖ საჭიროების შემთხვევაში, ყველა უფლებამოსილ პირს ან კოლეგიურ ორგანოს.

7.2 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები, ასევე ხდება მაღალი მაჩვენებლის მქონე პერსონალის წახალისება „კვლევითი საქმიანობის წახალისების, მხარდაჭერისა და დაფინანსების წესის“ შესაბამისად.

7.3 უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასების შედეგად გამოვლენილი კვლევითი საქმიანობის კარგი პრაქტიკის გაზიარებასა და წახალისებას კოორდინირებას უწევს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური. ეს შესაძლებლობას აძლევს უნივერსიტეტს, შექმნას განსაკუთრებული პირობები გამორჩეული პერსონალისათვის და ეფექტურად გამოიყენოს მხარდამჭერი მექანიზმები კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარებისათვის.

7.4 ყოველი წლის ბოლოს უნივერსიტეტი დაინტერესებულ საზოგადოებას წარუდგენს მიმდინარე წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს.

8. დასკვნითი დებულება

8.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

8.2 წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.



აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და პროფესიული თვითშეფასების ანგარიში

სახელი, გვარი	
აკადემიური თანამდებობა	
აფილირება	
საანგარიშო პერიოდი	

	აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (მიუთითეთ გამომცემლობა და ნაშრომის სათაური)	საქმიანობის განხორციელების თარიღი	საქმიანობისთვის განკუთვნილი ქულა	შეფასების შედეგად დაგროვებული ქულა (ივსება უნივერსიტეტის მიერ)
1.	გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიები¹				
1.1	ინგლისურენოვანი სტატია თუ გამოქვეყნებულია Ebsco, Scopus, Elsevier ან Thomson Reuters-ის საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებში შემავალ რომელიმე თემატურ ჟურნალში –			30 ქულა	

¹ იმ შემთხვევაში, თუ სტატიას/წიგნს/ბროშურას (იხ. 1.1.-2.4) ჰყავს რამდენიმე ავტორი, ქულათა რაოდენობა ნაწილდება ავტორთა რაოდენობაზე ან ნაშრომში/სახელმძღვანელოში მითითებული წილობრივი მონაწილეობის შესაბამისად.

	<p>შენიშვნა: საქართველოში გამოცემული რამოდენიმე საერთაშორისო ჟურნალიდან, ზემოაღნიშნულ ბაზებში შედის მხოლოდ ორი:</p> <p>(ა) მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე (ISSN - 0132-1447);</p> <p>(ბ) Georgian Medical News (ISSN - 1512-0112).</p> <p>(ქულა ენიჭაბეა თითოეულს)</p>				
1.2	<p>ინგლისურენოვანი სტატია თუ გამოქვეყნებულია საქართველოს ან საზღვარგარეთის რომელიმე სხვა საერთაშორისო ჟურნალში (რომელიც შეიძლება შედიოდეს ან არ შედიოდეს Google Scholar-ის საძიებო სისტემაში)</p> <p>(ქულა ენიჭაბეა თითოეულს)</p>			15 ქულა	
1.3	<p>რესპუბლიკური მასშტაბის ჟურნალებში გამოცემულ (ქართულენოვან ან ინგლისურენოვან) სამეცნიერო სტატიაზე</p> <p>(ქულა ენიჭაბეა თითოეულს)</p>			5 ქულა	
2.	გამოქვეყნებული წიგნები				
2.1	<p>შესაბამის დარგში გამოცემული ყოველი წიგნი</p> <p>წიგნად ითვლება გამოცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა იყოს 150 გვერდზე ნაკლები.</p>			60 ქულა	

2.2	პოლიგრაფიულად დასტამბული მონოგრაფია (მინ. 100 გვ.)		40 ქულა	
2.3	პოლიგრაფიულად დასტამბულ დამხმარე პროფილური წიგნი (მინ. 60 გვ.)		20 ქულა	
2.4	გამოცემული პროფილური ბროშურა (25-60 გვ.)		5 ქულა	
3	სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა			
3.1	საქართველოში, ადგილობრივ კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) (ქულა ენიჭაბება თითოეულს)		4 ქულა	
3.2	საქართველოში, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) (ქულა ენიჭაბება თითოეულს)		7 ქულა	
3.3	საზღვარგარეთ, საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობა (მომხსენებლის რანგში) (ქულა ენიჭაბება თითოეულს)		10 ქულა	
3.4	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (საორგანიზაციო კომიტეტის წევრის რანგში) (ქულა ენიჭაბება თითოეულს)		15 ქულა	

3.5	საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის რანგში) (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)		30 ქულა	
4.	კრებულის/წიგნის/მონოგრაფიის რედაქტორობა			
4.1	საერთაშორისო, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)		15 ქულა	
4.2	ადგილობრივი, პროფილური სამეცნიერო კრებულის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)		5 ქულა	
4.3	პროფილური წიგნის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)		10 ქულა	
4.4	პროფილური დამხმარე წიგნის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)		5 ქულა	
4.5	მონოგრაფიის რედაქტორობა (ქულა ენიჭაბეა თითოეულს)		8 ქულა	
5.	თარგმანები			
5.1	პროფილური წიგნის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული)		15 ქულა	
5.2	პროფილური დამხმარე წიგნის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული)		10 ქულა	
5.3	პროფილური მონოგრაფიის თარგმანი (პოლიგრაფიულად დასტამბული)		10 ქულა	

6	პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული გრანტის, სტიპენდიის მიღება			
6.1	დაფინანსების ქართული წყაროს შემთხვევაში <small>(ქულა ენიჭაბება თითოეულს)</small>		10 ქულა	
6.2	დაფინანსების უცხოური წყაროს შემთხვევაში <small>(ქულა ენიჭაბება თითოეულს)</small>		20 ქულა	
7.	საკვალიფიკაციო ნაშრომების ხელმძღვანელობა			
7.1	სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა <small>(ქულა ენიჭაბება თითოეულს)</small>		6 ქულა	
7.2	საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა <small>(ქულა ენიჭაბება თითოეულს)</small>		3 ქულა	
7.3	ბაკალავრის ან მაგისტრანტის საკონფერენციო სამეცნიერო ნაშრომის ხელმძღვანელობა <small>(ქულა ენიჭაბება თითოეულს)</small>		3 ქულა	
8.	სამეცნიერო ან სარედაქციო საბჭოს წევრობა			
8.1	სამეცნიერო საბჭოს წევრობა <small>(თითოეულზე)</small>		10 ქულა	
8.2	სარედაქციო საბჭოს წევრობა <small>(თითოეულზე)</small>		5 ქულა	
9.	საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება			
9.1	უცხოეთის უნივერსიტეტებში სამეცნიერო-პედაგოგიური		10 ქულა	

	მუშაობა(ფასდება თითოეული ვიზიტი)				
10	საგანმანათლებლო და სპორტულ დაწესებულებებში ტრენინგის ჩატარება				
10.1	თითოეული ასეთი ჩატარებული ტრენინგი			5 ქულა	
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ქულა					
პროფესიული/პედაგოგიური უნარების განვითარება					
11.	სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა მსაჯის რანგში				
11.1	ოლიმპიურ თამაშებზე მსაჯობა			20 ქულა	
11.2	მსოფლიო ჩემპიონატზე მსაჯობა			15 ქულა	
11.3	ევროპის ჩემპიონატზე მსაჯობა			10 ქულა	
11.4	საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში მსაჯობა			8 ქულა	
11.5	საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში მსაჯობა			6 ქულა	
11.6	საქართველოს ჩემპიონატის მსაჯობა			4 ქულა	
12.	სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა მწვრთნელის რანგში				
12.1	ოლიმპიურ თამაშებზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში			30 ქულა	

12.2	მსოფლიო ჩემპიონატზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში		20 ქულა	
12.3	ევროპის ჩემპიონატზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში		15 ქულა	
12.4	საზღვარგარეთ ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში		12 ქულა	
12.5	საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში		8 ქულა	
12.6	საქართველოს ჩემპიონატზე ყოფნა, მწვრთნელის რანგში		5 ქულა	
12.7	ადგილობრივი ტრენინგებზე, მასტერკლასებზე დასწრება		5 ქულა	
12.8	საერთაშორისო ტრენინგებზე, მასტერკლასებზე დასწრება		10 ქულა	
	სხვა ²			
სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ქულა				

² იმ შემთხვევაში, თუ ჩამონათვალში არ არის განსაზღვრული კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, აქტივობისთვის ქულის მინიჭება რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული დასკვნის საფუძველზე.

	პროფესიული საქმიანობის ქულა	
	ჯამური ქულა	